ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

"რუსთავის, გარდაბანის, წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ამომრჩეველთა ინფორმირებულობა 2017 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის“

პრეზენტატორი

გია გარსევანიშვილი

პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრი, კონტრიბუციის სახით, უზრუნველყოფდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების სწავლებას

პროექტის განხორციელების საფუძველი

- **2017** წლის საგრანტო კონკურსი

  საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

  “ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები”

პროექტის მიზნები

• პროექტის საბოლოო მიზანი

არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანია რუსთავის, გარდაბანის, წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ელექტორატში ჩამოყალიბდა ძალზედ მნიშვნელოვანი მენტალური ცვლილებები, თითოეულმა ამომრჩეველმა გააცნობიერა შემდეგი პრინციპი - სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეული წევრი მოსახლეობისა და ამომრჩევლისათვის და არა პირიქით.

• პროექტის უშუალო მიზნები:

-რუსთავის, გარდაბანის, წალკის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ამომრჩეველთა ინფორმირებულობა 2017 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის;

- ამომრჩეველთა ინფორმირება საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი საკრებულოების უფლებამოსილების და ფორმირების წესზე, ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმების, არჩევნების და კენჭისყრის პროცედურების შესახებ.

პროექტის ამოცანები

- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეული წევრების უფლება-მოვალეობები;
- ამომრჩევლის და „რჩეულს“ შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპები;
- ამომრჩეველთა უფლებები და კენჭისყრის დღის პროცედურები;
- ეთნიკურად მრავალფეროვანი ელექტორატის და ქალ-ამომრჩეველთა ინტერესის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი;

პროექტის ამოცანები

- ინკლუზიური არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საქართველოს კონსტიტუცია, მოქალაქეობა და ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები;
- საქართველოს საარჩევნო ისტორიის გაცნობა.

განხორციელების გზები

პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროექტის დირექტორი, რეგიონალური კოორდინატორი, თანაშემწე და ტრენერი/მომხსენებელი. ჯგუფმა განახორციელა ღონისძიებები შემუშავებული გრაფიკის მიხედვით

01.08.2017- 14.08.2017	ქ. თბილისი, ტეტელაშვილის N10
10.08.2017- 20.08.2017	ქ. თბილსი, გარდაბანი, რუსთავი, წალკა და თეთრიწყარო
23.08.2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
25.08.2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
27.08,2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
29.08.2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
31.08.2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
02.09.2017	ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N3, „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტი
06.09.2017	ქ. გარდაბანი, დ.აღმაშენებლის ქ.№78, კულტურის სახლი
07.09.2017	ს. ვახტანგისი, ქართული საჯარო სკოლა
08.09.2017	ს. თელეთი, საჯარო სკოლა
09.09.2017	ს. სარტიჭალა, საჯარო სკოლა
11.09.2017	ქ. თეთრიწყარო, მუსიკალური სკოლა, თამარ მეფის ქ. N4
12.09.2017	დაბა მანგლისი, მუსიკალური სკოლა, რუსთაველის ქ. N4
13.09.2017	ს. კოდის სათემო განათლების ცენტრი.
16.09.2017	ქ. წალკა, მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზი, არისტოტელეს ქ. N2
17.09.2017	ქ. წალკა, მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზი, არისტოტელეს ქ. N2
18.09.2017	ქ. წალკა, მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზი, არისტოტელეს ქ. N2

განხორციელების გზები

პროექტის პირველ მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ 4-5 ადამიანისგან შექმნილი მოხალისეთა ჯგუფი, სადაც გავითვალისწინეთ ეთნიკური და გენდერული საკითხებიც. მათი შესრულებული ამოცანა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად გაავრცელეს ინფორმაცია ოთხივე მუნიციპალიტეტში.

პროექტის მიზნებისა და დაგეგმილი ღონისძიების შესახებ მომზადებულ იქნა ვიზუალური მასალა: საინფორმაციო პლაკატები და ლიფლეტები, რომლებშიც მოკლედ მითითებულია პროექტის მიზნები, ამოცანები და დაგეგმილი აქტიურობანი ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესის შესახებ. იქვე მითითებულია ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია. პლაკატები განთავსდა მუნიციპალიტეტებში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და ადგილობრივ ხალხმრავალ ადგილებში მოსახლეობას დაურიგდა ბუკლეტები. მოხალისეებთან ერთად პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლებთან კავშირი დაამყარეს ადგილობრივ სათემო აქტივისტებთან, საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებთან, არასამთავრობო სექტორთან და მედიის თანამშრომლებთან.

პროექტის მეორე ძირითად ეტაპზე ჩვენ ჩავატარეთ 6 შეხვედრა რუსთავის, 4 შეხვედრა გარდაბანის, 3 შეხვედრა თეთრიწყაროს და 3 წალკის მუნიციპალიტეტებში. შეხვედრებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ არსებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტებთან ქალთა ოთახების რესურსი, არასმთავრობო ორგანიზაციები, ქ. რუსთავში ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი და სახელმწიფო სტრუქტურის მფლობელობაში არსებული ფართი.

ამ შეხვედრებზე პროექტის დირექტორი და ტრენერი/მომხსენებელი დეტალურად აცნობდა ამომრჩევლებს ინფორმაციას საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი საკრებულოების უფლებამოსილების და ფორმირების წესზე, ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმების, არჩევნების და კენჭისყრის პროცედურების შესახებ. შეხვედრაზე პროექტორის საშუალებით შესრულდა კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ ფილმის ჩვენება (რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არის მომზადებული). ამის შემდეგ ჩატარდა მოდელირებული არჩევნები (კედლის და სამაგიდო სიები, მარკირების სითხე და მარკირების შემოწმების აპარატი, ხმის მიცემის კაბინა, საარჩევნო ყუთი): შეხვედრის მონაწილეები თავად იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები, ადგილობრივი დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და ამომრჩევლები. არჩევნები ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და უშუალოდ მათი მონაწილეობით მოხდა ყველა საკითხის დეტალური განხილვა.

შეხვედრების მონაწილეებს დავურიგეთ ჩვენ მიერ მომზადებული ბუკლეტი, სადაც დეტალურად გაწერილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეული წევრების უფლება-მოვალეობები, ამომრჩევლის და „რჩეულს“ შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპები, ამომრჩეველთა უფლებები და კენჭისყრის დღის პროცედურები. ბუკლეტთან ერთად შეხვედრის მონაწილეებს გადავეცით მცირედი საკანცელარიო ნაკრები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებული ზოგიერთი მასალა, რომელიც მოთავსებული იქნა ბრენდირებულ ჩანთებში

- 306 მონაწილეს გადაეცა სამუშაო რვეულები, სახელმძღვანელოები, საჩუქრები და ინვენტარი, გაფორმებული პროექტში მონაწილე ორგანიზაციების ლოგოებით.



რაოდენობრივი მაჩვენებლები

- ჩატარდა თექვსმეტი შეხვედრა ოთხი მუნიციპალიტეტის ცხრა ადგილას ;
- შეხვედრებს დაესწრო 306 ბენეფიციარი, აქედან 230 ქალი და 76 მამაკაცი;
- საინფორმაციო ჰაბის "INFO RUSTAVI" მეშვეობით გამოცხადდა პროექტის ანონსირება. იხილეთ:http://www.inforustavi.ge/?m=31&cat_id=4&news_id=2559.
- პროექტის შესრულების დროს შეხვედრებს ესწრებოდნენ რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან არსებული ქალთა ოთახების აქტიური წევრები, ქ. რუსთავში ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენთა კავშირის წევრები, ქვემო ქართლისა და რუსთავის პენსიონერთა კავშირის წევრები, გარდაბნის მუნიციპალიტეტის "კულტურის ცენტრის" წევრები, ააიპ "კოდის სათემო განათლების ცენტრის" წევრები და ადგილობრივი შემოქმედებითი ინტელიგენცია;

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- 6 შეხვედრა რუსთავის „ეგნატე თაყაიშვილის“ სახელობის უნივერსიტეტის შენობაში.

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან (დირექტორი ნუგზარ ჩერქეზიშვილი), ე. თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან (თავმჯდომარე ალბერტ გალსტიანი) ქვემო ქართლისა და ქალაქ რუსთავის პენსიონერთა კავშირიდან (თავმჯდომარე დავით ძამუკაშვილი)

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- შეხვედრა გარდაბნის კულტურის ცენტრის შენობაში, პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან. (თავმჯდომარე ლეილა ბენდელიანი) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახთან. (მენეჯერი ლეილა ბენდელიანი)

- შეხვედრა ს.ვახტანგისის, ქართული საჯარო სკოლის შენობაში.
- შეხვედრა ს.თელეთის, საჯარო სკოლის შენობაში.
- შეხვედრა ს.სართიჭალას, საჯარო სკოლის შენობაში

- შეხვედრა ქ. თეთრიწყაროს, მუსიკალური სკოლის შენობაში, პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახთან. (მენეჯერი მელიტა კოპაძე).

- შეხვედრა დაბა მანგლისის, მუსიკალური სკოლის შენობაში.

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- შეხვედრა ს. კოდის სათემო განათლების ცენტრის შენობაში, პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ააიპ "კოდის სათემო განათლების ცენტრთან. (თავმჯდომარე მადონა ოქროპირიძე)

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- სამი შეხვედრა ქ. წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში, პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი წალკის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახთან. (მენეჯერი ნაზიბროლა კეკელიძე)

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

- საინფორმაციო მასალების გავრცელება

- პროექტის შესრულების წინასწარი სამუშო პროცესი

- პროექტის ფარგლებში დამყარდა კავშირი და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან:
- 1. ააიპ "ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის". (თავმჯდომარე ნატალია ხოხიაშვილი),
- 2. ააიპ "საქართველოს კონსტიტუციურ - დემოკრატთა ასოციაციასთან". (თავმჯდომარის ნ/პ ირაკლი ტორონჯაძე),
- 3. ააიპ "სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივ საბჭოსთან". (თავმჯდომარე ანა პაპიანი),
- 4. ააიპ "მსჯავრდებულთა იურიდიული დახმარების, ჯანდაცვისა და შემდგომ რეაბილიტაციის ცენტრთან". (თავმჯდომარე გიორგი გელაძე).

მადლობა ყურადღებისთვის!

პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრი, კონტრიბუციის სახით, უზრუნველყოფდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების სწავლებას